

კლიმატის ცვლილების გავლენა ექსტრემალური ტემპერატურების რეჟიმზე (სამცხე-ჯავახეთის მაგალითზე)

ლამზირა ლაღიძე, ლია მაჭავარიანი, ნოდარ წივწივაძე, ნარგიზი მოწონელიძე, ნინო პაიჭაძე

ელ-ფოსტა: lamzira.laghidze@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, თბილისი, 0179, საქართველო

კლიმატის ცვლილების გავლენა ატმოსფეროს სხვადასხვა პარამეტრებზე (კერძოდ ექსტრემალურ ტემპერატურების რეჟიმზე) განსაკუთრებით აქტუალურია იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც გამოირჩევიან რთული ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობებით. ამ მხრივ გამორჩეულია საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონი სამცხე-ჯავახეთი, რომლის კლიმატური პირობები მკვეთრად განსხვავდება სხვა რეგიონების კლიმატური პირობებისაგან რაც ძირითადად ადგილობრივი ფაქტორებითა გამოწვეული, რომლებიც გაპირობებულია რთულ რელიეფური პირობებით, რადიაციული რეჟიმითა და ცირკულაციით. ტერიტორიის სიმცირის მიუხედავად რეგიონის ტემპერატურული რეჟიმი დიდი კონტრასტით ხასიათდება.

როგორც ყველა მთიანი ქვეყნისათვის, ამ რეგიონის ტემპერატურული რეჟიმისათვის დამახასიათებელია ვერტიკალური ზონალობა. ტემპერატურის გრადიენტი ზამთარში შედარებით ნაკლებია, რაც ამ პერიოდში განვითარებული ტემპერატურული ინვერსიის შედეგია, ხოლო ზაფხულში შედარებით მაღალი.

კლიმატის ცვლილების შესაფასებლად, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში კვლევისათვის გამოყენებულია მრავალწლიურ მეტეოროლოგიურ მონაცემთა სტატისტიკური, კლიმატოლოგიური და გრაფიკული ანალიზი. დადგენილია, ექსტრემალური ტემპერატურების (მაქსიმალური, მინიმალური) ცვლილების დინამიკა 40 წლიანი პერიოდისათვის, შემდეგი მეტეოროლოგიური სადგურებისათვის: ახალქალაქი, ახალციხე, ბაკურიანი, წალკა, ფარავანი, გოდერძის უღელტეხილი, ბორჯომი.

კვლევის შედეგად დადგინდა ექსტრემალური ტემპერატურის ცვლილებები, 10 წლიანი პერიოდების მიხედვით. მთლიან პერიოდში მაქსიმალური ტემპერატურა გაიზარდა 0.92°C , ხოლო მინიმალური ტემპერატურა 0.74°C -ით.

სამცხე-ჯავახეთის მეტეოროლოგიური დაკვირვებების კვლევის შედეგები, საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ კლიმატის ცვლილების ფონზე, 40 წლიან პერიოდში აღინიშნა ექსტრემალური ტემპერატურის ცვლილებები განხილული 10 წლიანი პერიოდების განმავლობაში. კერძოდ, აღინიშნა დათბობა აცივების შემთხვევები.